



## სამეურნეო შურნალი

# გოსსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . . . . . 10 კაპ. || ადრესი: Тифлиς, Варягинская, № 5.

### წელიწადი გეორგი

1910 წელიწადი.—14 ივლისი.—№ 14.

### შინაარსი

- ვ. რცხილაძე . . . . . შიშველი ხანა თელოქსურის გავრცელების კახეთში . . 3
- გ. ნახუცრიშვილი . . . . . სასარგებლო მცენარეები . . . . . 8
- ვ. გულბათიშვილი . . . . . სიმინდის მოსავლის გაუმჯობესება . . . . . 12

### საეურადღებო ცნობები:

- რომელი მასალა წინით რამდენი გამოდის ტანით . . . . . 15
- როგორ უნდა მომზადდეს იმერული ბადრიჯანი . . . . . 16
- განცხადებანი . . . . . 16

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:—  
პ. ავერკინისა, ა. აფხაზისა, აგრიკოლისი, ვ. ანოშვილისა, ვ. ახ. ლაძისი, ლ. გოგნიევისა, ვ. გულბათიშვილისა, დ. გორთაძისა, შ. დედაბერიშვილისა, ელენისი, ზ. ედილაშვილისა, მ. ზალიშვილისა, ა. თამაშვილისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძისი, დ. მდივანისა, ს. მგალობლიშვილისა, მ. შალვაშვილისა, ნ. მაკარ-  
შვილისა, ვ. მჭედლიშვილისა, მ. შამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ც. ნ., ი. პა-  
ცაშვილისა, ვ. რცხილაძისი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნაძისა, ვ. შ—ელისა,  
ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძისი, ე. სრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორ-  
ჯაძისი და რამდენიმე წერილი სელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.  
რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომ-  
პეტენცია რედაქციას სავალდებულოთა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ  
გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვედეს მისცემს შრომაში ყველა  
იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირიპირ  
შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქარ-  
თულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯიშვი-  
ლი ნ., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ.,  
ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბერიშვილი შ., ღამბაშიძე ვ.,  
აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

## თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-  
ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაუბრუნდება თანამშრომლებს პრაქორ-  
ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეა-  
მოკლოს. წერილები და კორექტურები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-  
ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი  
შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო  
ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-  
ქაჟი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.  
წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.  
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თეს-  
ლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრეთვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგ-  
ზანის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

**ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.**

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **პ. ი. რცხილაძე**

## პირველი ხანა ფილოქსერის გავრცე- ლების კახეთში

თანახმად კახეთში გავზავნილ ფილოქსერის პარტიების უფროს ხელმძღვანელის ბ-ნ კანდურალოვისაგან გამოგზავნილ ორი ტელეგრამისა, რითაც ბ-ნი კანდურალოვი იტყობინებოდა რომ კახეთში ფილოქსერა აღმოჩნდაო კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა აარჩია სასწრაფოდ კომისია ოთხი წევრისაგან და დაავალა მას კახეთში წასულიყო დაუყოვნებლივ ენახა დაავადებული ვენახები და შეედგინა მოსაზრებანი როგორ ეშველოს საქმეს. კომისიაში არჩეულ იქმნენ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ა. მ. დემენტიევი, პ. ჰ. მედვედიევი და ქვემოთ ხელის მომწერელი. კომისია გაემგზავრა ტფილისიდან 18 მკათათვეს და 20 მკათათვეს უკვე ბაისუბანში იყო.

დიდი შეცდომა არ იქნა ვსთქვა, რომ ჯერ არც ერთ კახელს ნათლად და სავსებით არა აქვს წარმოდგენილი ის სურათი ვენახების გატიელებისა, რომელიც მოჰყვება ხოლმე ფილოქსერის შემოსევას შედეგად.

ვერ ვიტყვი რომ ჩემს ეხლა იქ ყოფნაში ხუთი დღის განმავლობაში ვისიმე სახე მენახოს ამ ამბით შეწუხებული.

კარგია სიმშვიდე, როცა იგი გულმაგრობით აიხსნება. დაუდევრობით გამოწვეული სიმშვიდე კი, უწუხარობა სანამ მტკივნეულობა არ უგრძნია ჯერ ადამიანს, სანამ ქირი თვით არ მისდგომია კარს, არ აუწიოკებია მისი დიდი და პატარა... ამისთანა სიმშვი-

დისა და სიღინჯის შესახებ კი რა მოგახსენოთ.

დაწყნარებული სახე კახელებისა, რომელთაც უკვე გაეგოთ ფილოქსერის შემოსევა კახეთში, ჩემდაუნებურად ჩემი მოსამსახურე ქართლელ დედაკაც ნინოს მაგონებდა.

ნინოს თავისი თვალებით აქვს ნანახი ფილოქსერით დაავადებული და ბოლოს გადამხმარი და ამოგდებული ვენახი. გაიგო თუ არა მან რომ კახეთში, სადაც ისეთი მშვენიერი ღვინო იცის და მაშასადამე ბლომა და კარგი ვენახები უნდა იყოს, ფილოქსერა გაჩენილაო, წაიშინა მუხლებში და სთქვა:

„ვიშ, ვიშ როგორი ოხერი ქირია... ხელამ ვაზები დგას ვენახში. პატარა ხანს რომ უყურო ერთს იქ გასცვივა ტყაპანი, მეორეს იქ, მერე მესამეს, მეოთხეს... ადამიანი გაგიჟდება ისეთი სურათია“.

რას ნიშნავს, როდესაც შენი თვალითა გაქვს ნანახი რომელიმე მოვლენა!

სოფლები **ბაისუბანი** და **ლეღიანი**, სადაც 1905 წლიდან მოსახლეობენ შორაპნის მაზრიდან გამოსულები, და სადაც ფილოქსერა გასჩენია ვენახებს, მდებარეობენ ალაზნის მარცხენა მხარეს უფრო მთის კალთებთან დაახლოებით, ალაზნიდან 8—10 ვერსის მანძილზე.

გარშემო უდევთ კაბალის დიდი ტყე, ჩრდილოეთით ყვარელია 18—20 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით ძველი

გავაზი 7—8 ვერსზე, სამხრეთით ლავოდები 8—10 ვერსზე და დასავლეთით ალაზანი.

ბაისუბანსა და ლელიანს შორის იქნება არა უმეტეს 7—9 ვერსისა. მთელი სიგძე კაბლის ხეობისა იქნება 20—22 ვერსი, სიგანე 18—20 ვერსი.

მთელ ამ ხეობაში სცხოვრობს 700-მდე კომლი შორაპნის მახრიდან გადმოსახლებულებისა. მარტო ბაისუბანში და მასზე მითვლილ უბნებში ითვლება 450 კომლი მოსახლე, რომელნიც დასახლებულან თ-დ ვაჩნაძეების გაუყოფელ მამულზე როგორადაც მოიჯარადრენი და სწუხან რომ ჯერ ვერ მოუხერხებიათ მამულის გამოსყიდვა აწინდელ პატრონებ შორის გაუყოფლობისა გამო.

ლელიანელებს რაც მიწა-წყალი უჭირავთ თავ. ივ. გ. ჯორჯაძესაგან აქვთ შესყიდული და დასაკუთრებული.

ამ 3—4 წლის განმავლობაში ლელიანელებსაც და ბაისუბნელებსაც დიდი შრომა გაუწევიათ ახალ ბინაზე: დიდ გაუფალ ტყეში, სადაც 100—200 წლის და უფრო მეტისაც ხეები—მუხა, წიფელი, თელა, რცხილა და სხვა დგა, გაუჩეხიათ—გაუწმენდიათ სასახლე ადგილები, სახნავები, გზები; გაუყვანიათ რუები, ჩაუდგამთ მშვენიერი ფიცრულები, უხნავთ, უთესნიათ სიმინდი, უშენებიათ ვენახები. უმთავრეს წყაროდ ცხოვრებისა გაუხდიათ ჯერ-ჯერობით სიმინდის თესვა და ხეტყის დამზადება და გასაღება.

სიმინდი აქ ცხენიან კაცზე გაცილებით მაღალი იზრდება და ხშირად დესეტინაზე 250—300 ფუთ სიმინდს მოსავალს იძლევა თურმე.

ამბათ გარდაქცეულა პატარა ქალიშვილის ნალაპარაკევი, რომელსაც უთ-

ქვამს, რომ სიმინდის ტაროს ვერა ვწვდებოდი, აველ ზედ ჩეჩქზე და ისე მოვტებო.

გამოღმა სოფლებს ტყე უჭირთ იქ კი მშვენიერი ხეებია ყველანაირი. ამ ტყეში ახალშენელები ამზადებენ ფიცრებს, კოკებს, სარებს, ბოძებს და სხვა და ჰყიდიან გაღმა-გამოღმა სოფლებში.

ამ კარგს ავიც მოჰყოლია.

გადმოსახლებულებს წამოუღიათ თან მწარე (ამერიკული) ვაზზე ნამყენი და ნახარები იქაური რკო, შანთი და სხვა ადგილობრივი ვაზები, მოუყოლებიათ ზედ მწარე ვაზი (უფრო რუპესტრის დილო და რიპარია) და კარმიდამოების სიახლოვეს გაუშენებიათ ვენახები. ვენახის სანაპიროებში აქა-იქ დაუჭრდიათ მწარე ვაზების დიდი ძირები ლერწის ასაქრელად და სამყნობათ. რადგან მოტანილი ნამყენები არა ჰყოფნიათ, გვერდით ზოგიერთებს ადგილობრივი კახური ჯიშებიც დაურგავთ უმყნობელი.

შორაპნიდან მოტანილ ვაზებს მოჰყოლია ფილოქსერა და მოსდებია ყველა დარგულ ვაზებს. ჩვენს კითხვაზე: რად გინდოდათ იქიდან აქ ვაზის წამოღება, როდესაც აქაური ვაზი (კახური) ყველაზე უმშვენიერესია და ქვეყანას აქედან (კახეთიდან) მიაქვს სხვაგან გასაჩენად?

გვიბასუხებდნენ: „ჩვენ ვფიქრობდით, ბატონო, რომ რაკი მწარე ვაზს ფილოქსერა ვერას აკლებს, არც გამოყვებოდა“.

ზოგს განსაკუთრებით ნამყენი ვაზი უდგა ვენახში, ზოგს კი კახური ვაზიც დაუზრდია იქვე თავის ფესვებზე.

ეტყობოდა პირველებმა კარგად იცოდნენ რომ იმათ ვენახებს ფილოქსერა

ვერას დააკლებს რო გამოჰყვეს კიდევაც.

ასეა თუ ისე, ამ სამი-ოთხი წლის ვენახებში ფილოქსერა უკვე არის.

ფილოქსერას ვპოულობდით კომისიის წევრები და ყველა სხვა დამსწრენი ვაზის იმ ნორჩ ფესვებზე, რომელნიც წელს არიან გამოტანილნი. ხოლო ერთ შემთხვევაში თითონ მე, ამ სტრიქონების დამწერმა, ორი წლის ფესვზე ვიპოვე მწერი ბლომად. უმყნობელ ვაზებს ჯერ მაგრე რიგად არ დატყობიათ დაავადება, თუმცა აღარც საღი სანახაობა აქვთ: ფოთოლი ყველა პატარა, მწვანე ხასხას ფერს მოკლებული და ცოტაზე კიდევაც შეყვითლებულ-ჩაშავებული. ვენახებში ჯერ მარტო ტუნკი ვაზი დგა.

ყველა ამ გარემოებამ ის დაგვასკვნევინა რომ ეს-ეს არის ფილოქსერა ეხლა ძლიერდება ორი-სამი წლის წინად გაჩენილი და ჯერ აქედან შორს არსად წასულა. ჯერ ისევ პირველი ხანაა მისი კახეთში გავრცელებისა.

ძნელია რასაკვირველია ფიცის დადება, რომ არც ერთ ტყის ვაზზედ, რომელსაც იშვიათად ხედავს აქ თვალი, მაგრამ საცა არის უზარმაზარი გაზრდილა, არ გადასულიყოს. ხოლო შემდეგის თქმა კი დარწმუნებით შეგვიძლიან: **ღელიანისა და ბაისუბნის ვენახების პირაღებით ამოგდება და მათ ქვეშ ნიადაგის მოწამლა 15—20 წლით მაინც შეავიანებს კახეთში ვენახების დაავადებას და პირქვე დამხობას.**

თითო წლის მოსავალი სულ ცოტა 2 მილიონი ვედრა ღვინო რომ ვიანგარიშოთ კახეთში საშუალოდ, რაც ამ ხანში შეენახება კახეთს ისიც დიდი საქმე იქნება.

ყირიმში დღესაც ყველა ვენახები ადგილობრივი უმყნობი ვაზებით არის სავსე. არც ერთ მემამულეს არა აქვს მწარე ვაზი და არც შიში აქვს ფილოქსერის გაჩენისა.

არ გეგონოთ, რომ ყირიმი ისეთი მიუვალი იყოს ფილოქსერისათვის ბუნებით. თუ კახეთში მხოლოდ ეხლა მოახერხა ფილოქსერამ შესვლა, ყირიმს იგი დიდი ხანია რაც ესტუმრა, მაგრამ ფეხი არ მოაკიდებინეს. აღმოჩნდა თუ არა იქ ფილოქსერა კუზნეცოვის მამულში „ფოროს“, სოფელი მშატკას (თათრების სოფელი) ვენახებში და პროფესორი დანილევსკის ვენახში, მაშინადვე დაეხვივნენ, ამოგდეს ეს ვენახები ზომით 20 დესეტინაზე მეტი და ის იყო და ის. მას აქეთ ყირიმში აღარც სადმე გაჩენილა ფილოქსერა და არც დღეს დაჰკარგვიათ ყირიმელებს იმედი რომ ამ საშინელ სენს ვაზისას ფეხს არ შეადგმევიანებენ ვენახებში თავიანთი სასტიკი გაფრთხილებით.

ასეთ დატულობას ჩვენ ვერ დავიკვებებთ. დღეს თუ არა, ამ ახლო მომავალში, მეტადრე მომავალ რკინის გზის გაყვანის შემდეგ კახეთში, ფილოქსერა მაინც შესდგამდა ფეხს და ძალაუნებურად იძულებულნი გავხდებოდით კულტურულ ბრძოლას, ე. ი. ჩვენებური ვაზის მყნობა დაგვიკირდებოდა მწარე ვაზზედ, რომ ვაზი ამ სახით უვნებელი გახდეს ფილოქსერისათვის. ხოლო ეხლა, ასე ჩქარა ვინ რას მოასწრობს თუ მეტადრე მივიღებთ მხედველობაში კახელი კაცის აუჩქარებელ ხასიათს და იმ უშიშრობას მომავლისადმი, რომელიც დღეს ვნების ჯერ არნახვით აიხსნება.

მართალია ჯერ ახალშენელებს თავიანთი ნაამაგდარი ვენახების პირველი



ყურძენიც კი არ დაუძლევიათ, მხოლოდ წელს პირველად ასხია იმათ ვენახებს, და მათის ამოგდებით ბევრს ცრემლი დაედინება, მაგრამ იმავე დროს თუ გაახსენდებათ რამოდენა ზღვა ვენახები გადარჩება გაუფუჭებელი იმათი ერთი კუკნა ვენახების მსხვერპლად მოტანით, წარბიც არ შეედრიკებათ ამ ახალშენების დათმობით, იმედი გვაქვს, ვინაიდან იმიერიდგან ჩვეულს ვართ ღვიძლი შვილის დათმობასაც კი, როცა მთელი ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს ამას.

რამდენად მართლა პატარებია ეს ახალშენი ვენახები, შემდეგიდანა სჩანს:

**ლელიანში** ანუ **ბებურიანში** ითვლება სულ 34 ვენახი, რომელთაც ერთად უჭირავთ სულ 4 დესეტინა 1233 კვად.-საე.

**აფენში** ითვლება 12 ვენახი ზომით სულ . . . 1035 კვ.-ს.

**მირსკისეულში** ითვლება 3 ვენახი ზომით სულ . . . . . 290 კვ.-ს.

**ჭაბუკიანში** ითვლება 6 ვენახი ზომით სულ . . . 830 კვ.-ს.

სულ 55 ვენახი ზომით 5 დეს. 988 კ.ს.

ამათში დაავადებული ფილოქსერით არიან ვენახები:

- სოფრომ კობერიძესი. . . 600 კ.-ს.
- სვიმონ ჩუმბურიძესი. . . 300 " "
- გლახა მიქუთიძესი. . . . 150 " "
- შაქრო ბუზალაძესი . . . . 200 " "
- ელიზბარ გაბრიჩიძესი . . . 32 " "
- ამირან ხუციშვილისა. . . 200 " "

სულ 4 ვენახი ზომით 1389 კვ.-ს. ანუ ნახევარ დეს. ცოტა მეტი ადგილი.

**ბაისუბანში** ფილოქსერიანი ვენახები არიან:

- მათე ბარბაქაძესი
- ტატე ციკარაშვილისა
- სამსონ ბარბაქაძესი
- ამირან ბოქაძესი
- იაკიმე მულაძესი
- დომენტი ბარბაქაძესი

**პატარ-გორაში:**

- ესტატე ბოქაძესი
- სერგო ქურთანიძესი

ბაისუბანში სულ არის 43 ვენახი, ზომით. . . 6 დეს. 2167 კ.ს.

პატარ-გორაში სულ არის 7 ვენახი ზომით . . . . . 2021 " "

ლელიანში სულ არის 55 ვენახი ზომით . . . 5 დეს. 988 " "

მთელ კაბალზე 105 ვენახი ზომით . . . 13 დესტ. 376 კ.ს.

კომისიამ დაბრუნების უმალ ნანახი და ადგილობრივ შედგენილი თავისი მოსაზრებანი 27 მკათათვეს მოახსენა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს კრებაზე, რომელზედაც იყვნენ მოწვეულნი კახეთის ზოგი მემამულენი და კრებამ დაადგინა:

დაუყოვნებლივ იქმნეს მოწესრიგებული დაავადებული ვენახების, ზომით 2 დესეტინამდე, ძირიან ფესვიანად ამოგდება გოგირდიანი ნახშირბადის ჩაბოლებით ნიადაგში; დანარჩენ ვენახებში კი, რადგან ხსენებულ საწამლავის ხმარება ძრიელ ძვირად ჯდება, ვაზები ამოიბაროს, დაიწვას და აეკრძალოს იმ ადგილებზე ვენახის ხელახლად გაშენება **სამი** წელიწადი; არჩეულ იქმნეს სიღნაღის მაზრაში ადგილობრივი კომიტეტი, რომელშიაც ითვლებოდნენ წევრებად მაზრის უფროსი,



მომრიგებელი მოსამართლე, ექსპერტი, რაიონის აგრონომი, ორი წევრი წარმომადგენელი ლელიანისა და ბაისუბნის საზოგადოებებისა მათის ამორჩევით და მიენდოს ამ კომიტეტს მზრის თავად-აზნაურთა მარშლის თავმჯდომარეობით კავკასიის საფილაქსერო კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილებების აღსრულება.

გარდა ამისა დაარსდეს კარდენახსა და გურჯაან შორის სადმე გეზიან ადგილას საცდელი სანერგე, რათა გამოკვლეულ იქნას რომელი ჯურა მწარე ვაზი სად როგორ ივარგებს კახეთში სიძირე ვაზად და დამზადდეს ამ მწარე ვაზებზედ ნამყენები მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მოწესრიგდეს თვალყურის ქერა რომ კაბლიდან არც გამოღმა და არც ყვარელსა და ძველ გავაზს ვაზი არ გაიტანონ. განსაკუთრებითი ყურადღება მიექცეს იმ ადგილებს, საცა უფრო მოსალოდნელია სენის გატანა, როგორადაც მაგალითად არიან: კარდენახ-ბაკურციხე და გურჯაან-ველის ციხე, მეტადრე ამ უკანასკნელს, რადგან ლელიანიდგანაც და ბაისუბნიდგანაც აქ დიდძალი ხეტყე ვააქვთ დაკვეთილი და დაუკვეთლივ გამოღმა სოფლებში გასაყიდად და ადვილად შეიძლება სენის საქონელმა ან ხალხმა, ხეტყემ ან თვით ურმებმა და იარაღებმა გამოიყოლონ თან.

მიღებულ იქმნას ყველა ხელმისაწვდენი ზომები რომ ყველა ვენახის პატრონებმა კახეთში შეიტყონ შემოსეული სენის ამბავი, რათა ამიერიდან ყოველი მემამულე გავრთხილებით აღწევდეს გარეშე პირთ თავის ვენახში შესვლის ნებას, რომ შემსვლელმა ფილოქსერა არ შეიტანოს ვენახში.

ესეთი გავრთხილებით თვით შორაპნის მახრაში დღესაც შეხვდებით, ამბობენ, გადარჩენილს ფილოქსერისაგან ზოგიერთ ვენახს, თუმცა აგერ 20—25 წელიწადია მას აქეთ, რაც აქ ეს თვალთუხილავი ხოლო დიდად საშიში ვაზისათვის მწერი მძინვარებს. \*)

დასასრულ ვიტყვი რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან დ. ე. ჩოლოყაშვილი და ივ. გ. ჯორჯაძე ხელის შეწყობისათვის რომელიც მათ აღმოუჩინეს კომისიას იმ უგზო-უკვლო ადგილებში სიარულის დროს და სიღნაღის თავად-აზნაურთა მარშალი თ. დი. მ. ა. ანდრონიკაშვილი, რომელმაც იქვე გამოუცხადა კომისიის წევრებს რომ იგი მზად არის დაუთმოს საფილაქსერო კომიტეტს სანერგეს დასაარსებლად 10—15 დესეტინა ადგილი საკუთარი მიწებიდან იქ, სადაც კომისიის წევრები აარჩევენ და კიდევაც დამატარა და მაჩვენა ეს ადგილები მე,

\*) გავრთხილება იმაში მდგომარეობს რომ არც ავეჯს ან იარაღს, არც ადამიანს, თუ კი ეჭვი აქვთ რომ ფილოქსერა შეიძლება შეიყოლონ ვენახში, უდუზინფექციოთ არ უნდა შეუშვან. დუზინფექციას ასე აკეთებენ: თუ გოგირდიანი ნახშირბადი აქვთ (ფრთხილად უნდა მოექცეთ ამ საწამლავს, რადგან თუ ცეცხლა მოხვდა იფეთქებს) აურევენ ცოტას ნავთში და ჩოთკით ან მჩვრით წაუსვამენ ფენსაცმელსა და ტანსაცმელს რომ თუ ზედ უხილავი შეუიარაღებელი თვალისათვის მწერი ზის სადმე მოკვდეს. ყუთში, სადაც გოგირდიანი ნახშირბადი გქონდათ შენახული ბოთლით, რომ ჩასდოთ დაკეცილი ტანისამოსი და ზემოდან 1—2 მინუტით ხუფი დააფაროთ ყუთს, ისიც ყყოფა დიხენ ფექციათ, რადგან ამ საწამლავის სუნი ძრიელად ადვილად ახრჩობს ფილოქსერას. თუ ეს წამალი არა აქვთ, ამის მაგიერ ნავთს ხმარობენ, რადგან ნავთიც ადვილად ხოცავს მწერს. რკინეულობა ცეცხლზე შეიძლება მოატაროთ.



როგორადაც წევრს კომისიისას, შესაფერი ადგილის ამოსარჩევად და საფილაქსერო კომიტეტის წინაშე გამოსაცხადებლად.

დარწმუნებული ვარ რომ სხვებიც, ვისაც კი აქვს შესაფერი ადგილი, არ

დაიშურებენ ამ საზოგადო საკიროგებისათვის 10—15 ღესეტიან მიწას დამისცემენ კომიტეტს სანერგეს დასაარსებლად ვიდრემდისინ იგი საკირო იქნება საყოველთაოდ მოსახმარებლად.

ვ. რცხილაძე

## სასარგებლო მცენარეები

### პომიდორი

პომიდორი ცხელი ქვეყნის მცენარეა, ამბობენ პერუდან არის შემოტანილიო, ხოლო ზოგნი კი მექსიკას სთვლიან იმის სამშობლოთ. სულ ერთი საუკუნე იქმნება, რაც ევროპაში დაიწყეს პომიდორის მოყვანა. პირველათ როგორც ახლად შემოტანილი და ცივ ჰავას შეუჩვეველი მცენარე, სამხრეთ თბილ ალაგებში მოჰყვანდათ, მაგრამ მცოდნე მეურნეებმა მალე სიცივესაც შეაჩვიეს და დღეს რუსეთის ცივ გუბერნიებშიც ხშირათ შეჰხვედებით პომიდორის პლანტაციებს. მხოლოდ ჯერ თბილ საღუმლეებში სთესვენ და როდესაც **შითილი** მოიზრდება და ამასთან მიწაც და ჰაერიც საკმაოთ გათბება, რგავენ დანიშნულ ადგილზედ.

როგორც ვსთქვით პომიდორი ცხელი ქვეყნის მცენარეა, ესე იგი იმას შეუძლიან დიდი სიციხის ატანა, მაგრამ გვალვისა კი ძლიერ ეშინიან. ეს იმისთვის რომ ამ მცენარეს უხვად მოაქვს როგორც ნაყოფი ისე ყლორტი და ფოთლები, რომლებიც მეტად წყლიანი აქვს. მაშასადამე იმათ გასაზრდელად და საცხოვრებლად, ბევრი წყალია საკირო.

თუ დაკვირვებინათ, მიწის შემოყრის შემდეგ როგორც კართოფილს, ისე

პომიდორსაც ახალ ახალი ფესვები გამოაქვს, რომლებიც კარგა ღრმათ მიდიან მიწაში. ამისათვის გადარგვის დროს ძალიან უნდა გაფრთხილდეთ, რომ **შითილს** ფესვები არ დააწყვიტოთ, რადგან ფესვებ დაზიანებული მცენარე დაიგვალება და დიდი ხანი დასკირდება რომ სხვას წამოეწიოს.

თუ მიწა ნოყიერი და ფხვიერი შეჰხვდა, პომიდორი სიმაღლით 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> არზობრდება.

### პომიდორის სხვადასხვა ჯიშები

საზოგადოთ ყველა ჯურა პომიდორი შეიძლება ორათ გავყოთ. ადრეულა და გვიანა. პირველი მწიფდება 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> 4 თვეზედ, მეორე 4—5<sup>1</sup>/<sub>2</sub> თვეზე. ჩვენი ქვეყნისათვის რასაკვირველია ორივე ჯიშისა შესაფერი და ხელსაყრელია. მეტადრე მაშინ როდესაც ბაზარში გინდათ პომიდორის გატანა, უსათუოდ ორივე ჯურა უნდა იქონიოთ ბოსტანში.

### ადრეულა ჯიშები:

1. **გუმბერტი** (Король Гумбертъ) მეტად მსხმოიარე ჯიშია, ნაყოფი გემრიელი და წყლიანი აქვს, მხოლოდ ბაზარზედ ისე რიგად გასავალი არა აქვს, რადგან ნაყოფი ცოტა მოგრძო აქვს, საშინაოთ კი საუკეთესო ჯიშია.



**2. რგვალი წითელი პომიდორი ადრეულა**

ამ ჯიშმა ძალიან ადრე იცის დამწიფება. ნაყოფი მრგვალი და მშვენიერი ფერისა აქვს. ნამდვილი საბაზრო ჯიშია.

**3. პროფექსიონი** ნაყოფს იძლევა მსხვილს და წითელი ფერისას, ძალიან მსხმოიარე ჯიშია.

**4. Король ранних** საბაზროთ ესეც ჩინებული ჯიშია.

**5. ფიკარაცცი** ეს ჯიში თითქმის ყველაზედ უფრო ადრეულაა, მხოლოდ ამის წუნი ის არის, რომ ნაყოფი არ აქვს სუფთა, ესე იგი, იმის ზედა კანი არ არის სწორე—ცოტა ხორხლიანია. საშინაოდ კარგი ჯიშია.

**6. საოცრება ბაზრისა** მსხმოიარე სწორე კანიანი და გემრიელი ნაყოფის მომცემი ჯიშია.

7. ელიანა.

8. მიჩიგანური და სხვა.

**გვიანა ჯიშები:**

1. პრეზიდენტი გარფილდი

2. მიკალო

3. ტროფი

4. პონდეროზა და სხვა.

ყველა ესენი გვიანა ჯიშებია. რაც შეეხება მსხმოიარობას და ნაყოფის თვისებას, საუკეთესო საბაზრო ჯიშებათ უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ პომიდორი უხვად იძლევა ნაყოფს და ამასთან ბევრი ფესვების გატანაც იცის. ცხადია ამგვარი მცენარე მაშინ მოგცემთ დიდ მოსავალს და კარგი თვისების ნაყოფს, როდესაც ნოყიერ და ფხვიერ ნიადაგზედ დარგავთ მას. ქვიშნარი და თიხა მიწები არასოდეს არ მოგცემენ კარგ მოსავალს. მიწის გა-

საპატივებლად უკეთესია ძველი საქონლის ნეხვი იხმაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ ხელოვნურ სასუქებს უნდა მიჰმართოთ. თუ პომიდორი მართო საშინაოთ მოგყავთ, მაშინ საკმარისია 1 კვად. საყენზედ მოაყაროთ 1/2 გირ. 300/0 კალი ნარევი მარილი და 1/8 გირ. გვარჯილა. თუ დიდ ადგილზედ აპირებთ პომიდორის დარგვას, მაშინ ერთ დესეტინას მოუნდება სუპერფოსფატი—26 1/2—33 ფუთი ან ამდენივე ტომასშლაკა, გვარჯილა 6 1/2 ფ. და ქლორის კალი 6 1/2—9 3/4 ფ. ან 12—18 ფ. კალი.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი სასუქები გარდა გვარჯილასი და გოგირდ ნარევი კალისა, უნდა მოაყაროთ შემოდგომაზედ ან ადრე გაზაფხულზედ. გვარჯილა და გოგირდ ნარევი კალი ჯერ უნდა აურიოთ ერთად, ამასთან ცოტა ფხვიერი მიწაც უნდა შეურიოთ და შემდეგ გაჰყოფთ სამ თანასწორ ნაწილათ: 1/3 მოაყარით მაშინათვე დარგვის წინ, 1/3 ორი კვირის უკან და 1/3 აგრეთვე 2 კვირის შემდეგ. პომიდორის გასაპატივებლათ იხმარება აგრეთვე წყალში გახსნილი საქონლის ახალი ნეხვი. ეს დამზადებული სითხე უნდა დაუსხათ ახლად დარგულ პომიდორის ძირებს დარგვის ერთი კვირის უკან, მხოლოდ ამ დროს მიწა სველი უნდა იყოს. შემდეგში მთელი ზაფხულის განმავლობაში გახსნილი ნეხვით სამჯერ რომ მორწყათ კმარა.

**ნიადაგის დამზადება**

თუ პომიდორს ბოსტანში ჰრგავთ, მაშინ შემოდგომიდანვე უნდა დაჰბაროთ და გაზაფხულზედ წმინდათ გასთოხნოთ და ისე შეუდგეთ შითილის გადარგვას. თუ კიდევ დიდ ალაგზედ

გინდათ პომიდორის მოყვანა, ამ შემთხვევაშიაც მიწა შემოდგომამდე უნდა მოიხნას რაც შეიძლება ღრმათ. გაზაფხულზედ ხელმეორეთ ასჩეჩავთ და ზედ რკინის კბილებიან ფარცხს მოატარებთ. ეს უკანასკნელი მიწას აფხვიერებს კიდევ და ბალახის ფესვებიდანაც ასუფთავებს. თუ ვინიცობაა წყალი ნაკლებათა გაქვთ და თითონ ალაგიც ფიცხია, მაშინ უმჯობესია პატარა არხები დაჰკრათ და ამ არხებში დარგათ მცენარე.

შითილის გადასარგავათ საჭიროა გრილი და ავდრიანი დღე შეარჩიოთ. თუ ამ დროს ავდარი არ მოვიდა, მაშინ საპამიდორე ადგილი უნდა მოირწყას. ვინემ დარგვას შეუდგებოდეთ, პირველათ სარი უნდა შეუდგათ. სარი აუცილებლად საჭიროა პომიდორის ასახვევად, რადგან პამიდორმა ძალიან სხმა იცის და ამისათვის იმის ტოტები მიწაზედ ილართხება და ნაყოფი უღლებს, სარზედ ახვეული მცენარე კი უფრო თამამად იზრდება და მოსავლელადაც ადვილი ხდება. შითილი უნდა დაირგას 14—16 ვერშოკის მანძილზედ.

შითილის ამოდებამდე საჭიროა საღუმელე სადაც შითილი სთესია მოირწყას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. მშრალი მიწიდან ძნელია მცენარეების ამოგლეჯა—ფესვები ადვილათ აწყდება. როდესაც შითილს ამოიღებთ უნდა გადაარჩიოთ, გადასარგავათ უნდა იხმართ თამამი და მსხვილ ღეროიანი მცენარეები. დარგავთ თუ არა, იმავე დღესვე საჭიროა მოარწყოთ, რომ მცენარის ნორჩ ფესვებს მიწა კარგათ მიეტკვანოს. უკეთეს შემდეგში გვალვიანი ამინდი დაუდგა, მოარწყვა არ უნდა და-

უგვიანოთ და ამასთან ერთხელ მაინც გასათოხნოთ.

### პომიდორის სხვადასხვა ავად- მყოფობანი

პომიდორი ხშირად უფრო კართოფილის ობით ხდება ავით (картофельная плесень), რომელიც წარმოსდგება თვალთუჩინარ სოკოსაგან *Peruospora intestans*. ავადმყოფობის გაჩენას ხელს უწყობს გრილი და ავდრიანი ზაფხული. ავადმყოფობა უჩნდება მცენარის თითქმის ყველა ნაწილებს, გარდა ფესვებისა. მეტწილად მკათათვე—მარია-მობისთვეში იცის გაჩენა. უბრალო თვალითაც ადვილათ გააჩრჩევთ ამ ავადმყოფობას: პირველათ უჩნდება ყლორტებს პატარა მოშავო ფერის ხალები, რომლებიც რაც დრო გადის იზრდებიან და ხმებიან. ამასთან ერთად ხმება ან ლპება მთელი მცენარეც.

არის მეორე გვარი ავადმყოფობაც: ფოთლებს უჩნდება უფრო მოზრდილი ხალები, რომლებსაც გარშემო არშისავით მოშავო ზოლი აქვთ შემოვლებული; შემდეგ ყლორტებზედ და ფოთლებზედაც გადადის და ბოლოს მთელი მცენარე იწყებს დაჰკნობას.

ყველა ეს ავადმყოფობანი პომიდორს უჩნდება ან სხვა მცენარეებისგან ან კიდევ თავისივე თესლისაგან. მაგალითად თუ თესლი ავადმყოფ მცენარისაგან აიღეთ, მაშინ მეორე წელიწადს თქვენ პომიდორს უსათუოდ გამოაჩნდება წემოხსენებული სენი. ამისათვის თესლის არჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ თქვენვე დაიმზადეთ თესლი, ამას არა სჯობია რა და თუ გამოიწერეთ საიდგანზე მაშინ საჭიროა მას დეზინფექცია გაუკეთოთ ასე: 40° ცხელ



წყალში ჩაყარეთ თესლი და შიგ დაამყოფეთ 5 წუთი, ან მოამზადეთ 20% შაბიამნის სითხე და შიგ ჩაყარეთ პომიდორის თესლი ორი საათით. შემდეგ ამოიღეთ, წყალი გადაავლეთ და მზათ იქმნება დასათესათ.

გარდა ამისა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან შაბიამნით წამლობასაც. ამ შემთხვევაშიაც 20% შაბიამნის სითხე უნდა მოამზადოთ სწორედ ისე, როგორც ვაზისთვის ამზადებთ. შემდეგ ვერმორელის აპარატით ასხურებთ პირველად თიბათვის დამდეგს, მეორედ თიბათვის ნახევარში და მესამედაც მკათათვის ერთი კვირა რომ ჩამოვა.

**პომიდორის შენახვა საზამთროდ**

თუმცა მეტი წილი მოკრეფილი პომიდორი ზაფხულშივე იხმარება შინ და აგრედვე გარედ გასატანადაც, მაგრამ ზამთარშიაც, როდესაც შეუძლებელია ახალი პომიდორის შოვნა, დიდი მოთხოვნილებაა ამ გემრიელ სანოვაგეზე. ამისათვის ბევრი საშუალებაა გამოგონილი პომიდორის საზამთროდ შესანახად. მაგალითად პომიდორის პიურეს მოხარშვა, მწიფე პომიდორის დამარილება და ეგრედ წოდებული ფრანგულად შენახვა.

ყველაზედ უკეთეს საშუალებად, პირველი უნდა ჩაითვალოს, რადგან პომიდორის პიურეს ბაზარშიც კარგი გასავალი აქვს. საშინაოთ კი ფრანგული წესით შენახული უფრო უკეთესია დამარილებულ პომიდორზედ, რადგან ასე მომზადებულს არც ფერი ეკარგება და გემოც თითქმის ახლად მოკრეფილისა აქვს.

**პომიდორის პიურეს მოხარშვა**

პიურეს მოსამზადებლად სალი და ძალიან მწიფე ნაყოფი უნდა აარჩიოთ. კარგი თვისების პიურეს იძლევიან შემდეგი ჯიშები: **Король ранних**, **მიკალო** და **ტროფი**. ნაყოფს გადაარჩევთ, გარეცხავთ, დასჭრით თითოეულს ორ-სამ ნაჭრათ და ჩააწყობთ კალათაში, რომ კარგად გაიწკრიტოს. შემდეგ აიღებთ და ამ დაჭრილ ნაყოფს მოზრდილ ქვაბში მოაქცევთ, მხოლოდ ქვაბი ძალიან არ უნდა აავსოთ. როდესაც ქვაბი დუღილს დაიწყებს, საჭიროა ხშირად კოვზის მორევა, რომ ქვაბმა ზედ არ მიიკრას და ამით გემო არ გაუფუჭოს პომიდორს.

ამნაირად უნდა ადუღოთ იქამდის, ვინემ ნაყოფი სულ არ ჩაიშლება. როდესაც შეატყობთ, რომ პომიდორი კარგად მოიხარშა, ქვაბს გადმოიღებთ და წინაღვე მომზადებულ კალათაში, რომელსაც შიგ თხელი რამ უნდა ჩაუფინოთ, მაგ. სქელი მარლა, ჩაასხამთ ამ სითხეს, რომ რაც მეტი წყალი აქვს სულ გაუვიდეს. როდესაც წყალი გაიწკრიტება—ჩაჰყრით ძუის ან მავთულის საცერში და დაუწყებთ ხელით ან ხის კოვზით ხეხვას ვიდრე საცერში მარტო ჩენჩო და თესლი დარჩებოდეს. გასული თათარის მსგავსი სითხე ხელმეორედ უნდა მიაქციოთ ქვაბში და რამოდენჯერმე წამოადუღოთ, რომ უფრო კარგად გასქელდეს. ამავე დროს საჭიროა ცოტაოდენი მარილის მოყრა: დაახლოვებით ერთ გირვანქა პომიდორის თათარაზედ კმარა 10—12 მისხალი დაფქული მარილი.

ამნაირად დამზადებულ პიურეს ჩაახხავთ ჟესტის ან შუშის ბანკებში, რომლებსაც პირი ისე უნდა გაუკეთდეს,



რომ ჰაერს სრულდებით არ შეეძლოს შესვლა. ქესტის ბანკებს საზოგადოთ კალით უკეთებენ სახურავებს. შეიძლება ბოთლებშიაც ჩაასხათ და შემდეგ პრობკები გაუკეთოთ, რომლებიც საჭიროა ზემოდან კანაფით ან მავთულით დაამაგროთ.

ასე დამზადებულ ბანკებს ანუ ბოთლებს ჩააწყობთ მდულარე წყალში, რომელშიაც მარილი უნდა იყოს გახსნილი (ერთ ვედრაზედ 4 გირ. მარილი) და ადუღებთ 1 1/2 საათს და შემდეგ ამოიღებთ. პიურე მზად იქნება.

**ფრანგული შენახვა.**

გადაარჩიეთ სქელ კანიანი მწიფე პომიდორი (ძალიან მწიფე კი არ უნდა იყოს), გარეცხეთ და სუფთა ტილოთი გამომშრალებული ჩააწყეთ შუშის ქილებში. ქილა რომ აივსება, მოასხით ზედ წინადავე დამზადებული სითხე, რომელიც უნდა შესდგებოდეს ერთად არეული 1 წილი მარილისაგან, 1 წილი კარგი ღვინის ძმრისაგან და რვა წილი ადუღებული წყლისაგან. როდესაც ეს სითხე ზევიდან მოადგება პომი-

დორს, შემდეგ მოასხამთ ცოტოდენ საკმლის ზეთს, ეს იმისთვის, რომ ობი არ მოეკიდოს პომიდორს.

ამნაირად შენახული პომიდორი 6—7 თვემდე კარგათა სძლებს და გემოთი და ფერით ბევრით აღარ გაირჩევა ახლად მოკრეფილისაგან.

ხპარების დროს საჭიროა პომიდორის წყალში გავლება.

**მწიფე პომიდორის მწნილი.**

აიღეთ 5 ვედრიანი სუფთა ხის ბოჩკა და ძირზედ მოაყარეთ მარილი, შემდეგ ჩააწყეთ ორ-სამ რიგათ მწიფე პომიდორი და ზედ კიდევ მარილი მოაყარეთ. ასე მოიქეცით ვიდრე ბოჩკა გაივსებოდეს. როდესაც ბოჩკას გაავსებთ, გადაიტანეთ მშრალ ალაგას. პომიდორი მალე გაუშვებს თავის წვესს, აი სწორედ ამ დროს ზევიდან ცოტოდენ საკმლის ზეთს მოასხამთ და შემდეგ გაუკეთებთ სახურავს. ამნაირად შენახულ პომიდორსაც კარგი გასავალი აქვს ზამთარში.

**გ. ნახუცრიშვილი**

**სიმინდის მოსავლის გაუმჯობესოვა**

ვინც სიმინდის მოსავალს დაკვირვებია, იმას არა ერთხელ უნახავს ასეთი მოვლენა: ერთსა და იგივე თარგზე, სადაც ყველა სიმინდებს შორიდან ერთნაირი მშვენიერი სანახაობა აქვთ— მწვანედ ხასხასებენ, ცხენიან კაცზე მაღალნი გაზდილან, —ახლო რო მიხვალთ ამჩნევთ რომ ერთ მიწაში ერთი პატრონის სიმინდს ორ-ორი, სამ-სამი ტარო აყრია და მეორე მიწაში კი, იქვე ერთ გუთნის გაშლაზე ან თითო ღინკალი გამოუტანია მარტო, ან ისიც არა.

მიზეზი აქ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, მაგრამ ერთი ამ მიზეზთაგანი თვით თესლის უჯიშობა არის ხოლმე. ამიტომ, გარდა იმისა რომ სათესლედ კარგა გადარჩეული ტარო უნდა შევიწინახოთ \*), უნდა სიმინდის მცენარესაც კური ვუგდოთ ზრდაში, ვეცადნეთ უვარგისი ჯიშების გამრავლება შევაფერხოთ და კარგ ჯიშებს კი ხელი შევეწყუოთ.

\*) იხ. „მოსავალი“ № 5, „თე'ლის შე-რჩევა“



რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ჩვენი ცდა, ამის გასაგებად საჭიროა ჯერ ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ თვით გამრავლება მცენარისა როგორა ხდება.

სამრავლი ორგანოების მდებარეობით სიმინდის მცენარე დიდად განსხვავდება სხვა მცენარეებისაგან. მას **სამტვრე** და **სანაყოფე** ერთ ყვავილში არა აქვს მოთავსებული, როგორც სხვა მცენარეებს. სიმინდს სამტვრე ორგანო, სადაც ყვავილის მტვერი მზადდება, ქოჩრის ქეჩქში აქვს, სანაყოფე კი, საცა მტვერი უნდა ჩავიდეს რომ ნაყოფი ჩაისახოს, ჩეჩქის თითქმის შუა წელზეა, სადაც **ულვაშები** არიან და ტარო აბია. რომ დააკვირდეთ სიმინდის ქეჩქს ქოჩორზე ადვილად შეამჩნევთ პატარ-პატარა მივითავების მაგვარ ორგანოებს, რომელნიც სასვე არიან ყვავილის მტვერით და ამიტომ სახელადაც შეიძლება **სამტვრეები** ვუწოდოთ.

**სანაყოფე** ორგანო წარმოადგენს შესქელებულ ნაწილს შუა ჩეჩქზე, ნაწილს, რომელსაც ზედ პატარა ყვავილები ასხედან ძირს გადმოკიდებული გრძელი ულვაშებით, რომელთაც ხან მწვანე, ხან ყვითელი და ხან იის ფერიც კი აქვთ ხოლმე.

როცა მცენარის ზრდა ერთ ზომამდეა მიღწეული, სამტვრეები ქვემოთ იხრებიან და თავიანთ მტვერს აყრიან ზედ მდებარე დაბლა სანაყოფე ყვავილის ულვაშებს, საიდანაც მერე ეს მტვერი გადადის თვით სანაყოფეში და ისახება ნაყოფი. ამ გზით მცენარე თავის თავს თითონვე განაყოფიერებს ხოლმე, ე. ი. მის სანაყოფეში ჩადის მისგანვე მომზადებული მტვერი და ახალი ნაყოფი ისახება. თუ ქარით ან

სხვა რამ მიზეზით მცენარის სანაყოფეში სიმინდის სხვა ძირიდან გადმოტანილი ყვავილის მტვერი ჩავიდა, მაშინ ესეთი **ჩათესლება** ანუ განაყოფიერება **პირდაპირი** კი აღარ იქნება, როგორც ზემოთ იყო, არამედ **გადაჯვარდინებული** ჩათესლება იქნება.

ესლა თქვენ თითონ მიხვდებით თუ როგორ უნდა მოვიქცეთ რომ უჯიშო ძირების გამრავლება შეფერხდეს და კარგებისა გაძლიერდეს.

უნდა უღონო ძირების სანაყოფე ორგანოებს თამამი ძირების სამტვრეებიდან მიეცეს მტვერი, ესე იგი უნდა ჩათესლება ვეცადნეთ გადაჯვარდინებით მოხდეს და არა პირდაპირი.

ეს შესაძლებელია მაშინ როცა ჩვენ სიმინდის ყანას ახლად რომ ამოიტანს ქეჩქს დავივლით და ნაგალა, სუსტ ძირებს ქეჩქებს დავამტვრევთ, რომ მათი მტვერი აღარც ამ ძირების და აღარც სხვების სანაყოფეში აღარ ჩავიდეს.

რასაკვირველია შთამომავლობაზე გავლენას ქონელობს დედობრივი სქესიც. თამამი ძირებით განაყოფიერებული ქეჩქი წამტვრეული ნაგალა ძირები ისეთ ტაროს ვერ გაიზრდიან, როგორც გაიზრდებოდა მაშინ, რომ დედობრივი სქესიც თამამი ძირი ყოფილიყოს, მაგრამ მაინცა და მაინც უფრო კარგი ტარო გაიზრდება, ვიდრე ამ ნაგალა ძირის სანაყოფეს რომ ყვავილის მტვერი იგივე ძირის სამტვრედან მიეღოს, რადგან როგორადაც ცხოველებში ისე მცენარეებში მამობრივი სქესის ზედგავლენა შთამომავლობაზე უფრო ძლიერია, ვიდრე დედობრივი სქესისა.

ხსენებული ზომის მიღება არც ისე ძნელი იქნება მაგრე რივად: ერთი კაი მუშა დღეში სამ დღიურ სიმინდს დაივლის და გააკეთებს ამ საქმეს, ოღონდ თვალი გავარჯიშებული ჰქონდეს ნაგალა, სუსტი და თამამი, ღონიერი ძირების ერთიერთმანეთიდან გარჩევაში.

ამავე დროს შეიძლება მეორე საქმეც გაკეთდეს: გათხელდეს სიმინდი თუ ხშირია, რომ ამ მხრივაც ტაროს დამსხვილებას მიზეზი არ მიეცეს.

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო კიდევ ერთ მოვლენაზედ.

ხშირად ყოველის მხრივ ხელშეწყობილი სიმინდის მცენარე კარგადაც არის გაზრდილი, ქეჩიცი კარგა გამოუტანია, მაგრამ ტარო კი არსად უჩანს.

მომეტებულ შემთხვევაში ესეთი მოვლენა იმითი აიხსნება რომ ზოგი თესლი ჩამომავლობით უძეო გამოდგება ხოლმე და ამიტომ თუ ასეთ ძირებს ქეჩიცი არ დადამტვრივთ, გადაჯვარდინებით ჩათესლების დროს ამ ქეჩიციებიდან ყვავილის მტვერი გადავა სხვა ძირების სანაყოფეზე, ჩათესლებს მათ და შემდეგში თუ ეს თესლი დავთესეთ, სიმინდის ძირები ჩეჩქსაც დიდს გაიზრდიან, ქეჩიქსაც კარგს გამოიტანენ, მაგრამ ტაროს არ გაიკეთებენ, მცენარე უძეო გამოვა შთამომავლობით.

„შთამომავლობითი უძეობა“ ცხოველების შესახებ რომ ვსთქვათ პარადოქსი იქნება, მცენარეებში კი როგორც ხედავთ დიდი ადგილი ჰქონია.

ამგვარად ეხლა თვალწინ ასეთი კითხვა დგება: ვსთქვათ რამდენიმე დღის სიმინდი გვაქვს. თუ მოსავალი სანაქეობა, მაშინ ხომ არც ნაგალა ძირები

იქნებიან ამ სიმინდში ბლომად და არც უტაროები. ასეთი სიმინდი არაფერ ზრუნვას არ მოსთხოვს პატრონს კარგი მევლის გარდა. თუ არა, ესე იგი, თუ სიმინდი მომცდარია, მაშინ კი სუსტი ძირებიც ბევრი იქნება და უტაროებიც. ამისთანა შემთხვევაში რომელ ერთს მოვამტვრიოთ ქეჩიცი, რომ ვადაჯვარდინებულ განოყიერებით მოსავალი გაუმჯობესდეს. იქნება ნაგალა ძირები იმდენი იყოს, რომ მათი ქეჩიციების დამტვრევით მთელი მოსავალი განახევრდეს. როგორ მოვიქცეთ ამისთანა შემთხვევაში?

ამ კითხვას პასუხი მიზნის გათვალისწინებით უნდა მიეცეს.

ზემოხსენებულ შერჩევას ანუ როგორც სხვაგნებურად იტყვიან სელექციას ის მიზანი აქვს, რომ თესლი სალი და ჯიშინი მივიღოთ.

მეტი წილი სიმინდი საქმელად მოყავთ ან და სახამებლის, შაქრის, ზეთის გამოსახდელად იხმარება ზაოდებში. ყველა ამ საქიროებისათვის სიმინდის მარცვალი სულერთია ნაგალა მცენარეზე მოტეხილ პატარა ტაროდან იქნება თუ დიდიდგან, რომელთანაც იმავე ძირზე კიდევ ორი ან სამი იმისთანავე მშვენიერი ტაროები იყო სხვა. საქმელადაც და ქარხნისათვისაც მარცვლის ქიმიურ შედგენილობას აქვს მნიშვნელობა და არა სიმრავლეს. ქიმიური შედგენილობა კი სიმინდის ყველა სალი მარცვლებისა ერთნაირია.

ნათქვამიდან აშკარად გამოდის პასუხი ზემოდ დასმულ კითხვაზედაც: თესლის ასაღებად უნდა სიმინდის ყანაში განისაზღვროს ერთი კორომი ადგილი, სადაც უფრო კარგი მოსავალია, და მარტო იქ მოახდინოთ, ზემოხსენე-



ბული სელეკცია. დანარჩენ სიმინდში გადაჯვარედინებულ განაყოფიერების გამოსაწვევად ნაგალა სიმინდის ძირებს უნდა ყვავილობაშივე წაუმტვრიოთ შიგადაშიგ ქეჩეჩები, ისე კი რომ მოსავლის რაოდენობას მაგდენი არა დააკლდესრა.

დასასრულ ერთი ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა სიმინდის ბლარტობაზედაც.

ბლარტი არაფერ სარგებლობას არ აძლევს მოსავალს, რადგან პატარა ღინკალს იკეთებს, თუ იკეთებს და ზარალით კი ბევრს აზარალებს მას, რადგან ჩეჩქს, რომელსაც ეს ბლარტი აქვს გამოტანილი, ფესვებით მიღებულ სინოცივრეს ართმევს და თავის თავზე ჰზარჯავს. ამიტომ ქეჩეჩების წამტვრევაში ამისთანა ბლარტიანი ძირებიც უნ-

და ვიქონიოთ სახეში და მათი სამტვრეების გაუქმებით ერთხელ და სამუდამოდ გავაქროთ მათი ქოქი. სიმინდის ბლარტს უმეტესი ვნება ჩვილობაში მოაქვს, ამიტომ პირველ ან მეორე გათოხნაშივე უნდა ძირებს ჩამოეცალოს ეს ბლარტები.

თუ ზომა იგი მცენარის განვითარების პირველსავე ხანაში არ ვიხმარეთ, მერე ბლარტის მოშორებას აზრი აღარ ექნება და სამჯობინარია იგი შევარჩინოთ, რომ თავისი ღინკლებით მოსავალს სამატი მისცეს. ხოლო სათესლედ განსაზღვრულ ადგილში კი ყველა ბლარტიან ძირებს ქეჩეჩები, გამოჩნდებიან თუ არა, უნდა მოემტვრას, რომ თავიანთი შთამომავლობის მოცემა არ შეიძლოს.

ვ. გულბაათიშვილი

საყურადღებო ცნობები

რომელი მასალა წონით რამდენი გამოდის ტანით. 1 გირ. თეთრი ფქვილი (хрушчатка) გაგამოდის სამი ჩაის სტაქანი.

1 კოვზი იგივე ფქვილისა შეადგენს ერთი სტაქნის მესამედს.

1 გირ. კართაფილის ან მღოვვისფქვილი == ორ ნახევარ სტაქანს.

1 გირ. გაყინული ერბო შეადგენს რვა სტოლის კოვზს.

1 გირ. დამდნარი ერბო შეადგენს ერთ მთელსა და სამ მეოთხედ სტაქანს.

1 კოვზი გაყინული ერბო გამოდის ერთი მერვედი გირვანჯა.

1 გირ. მანის კრუბა შეადგენს ორსა და ერთ მეოთხედ სტაქანს.

1 გირ. ბრინჯი შეადგენს ორ სტაქანს.

1 გირ. ხორბალი გამოდის ორი და ერთი მერვედი სტაქანი.

1 გირ. პერლვის პრუბა გამოდის ორი და ერთი მეოთხედი სტაქანი.

1 გირ. თეთრი ლობიო შეადგენს ორსა და ერთ მესამედ სტაქანს.

1 გირ. თეთრი მუხუღო გამხმარი გამოდის ორ ნახევარი სტაქანი.

1 გირ. მწვანე მუხუღო გამხმარი გამოდის ორი და ორი მესამედი სტაქანი.

1 გირ. ნუში გარჩეული არის სამი სტაქანი.

1 გირ. ქიშიში წვრილი არის სამი სტაქ.

1 გირ. შაქრის ფხვნილი არის ორი სტაქ.

1 გირ. დაფხვნილი შაქარი არის ორი და ერთი მეოთხედი სტაქანი.

1 გირ. დამტვრეული შაქარი არის სამი სტაქ. ანუ 32 ნატეხი.

1 ნატეხი შაქარი უდრის წონით ერთ ლოტს.

1 სტოლის კოვზი სილათ ხავე დაფხვნილი შაქარი უდრის ერთს ლოტს ანუ ერთ ნატეხს.

1 გირ. დაფქული ყავა არის ხუთი სტაქანი გაუტენავი.

1 გირ. დაუნალავი ყავა არის ორ ნახევარი სტაქანი.

1 გირ. დამტვრეული ვერმიშელი არის ოთხ ნახევარი სტაქანი.



1 გირ. სმეტანა შეადგენს ერთსა და ორ მესამედ სტაქანს.

1 გირ. ლონდონში ქლიავი დაჩირული და გამხმარი არის ორ ნახევარი სტაქანი.

1 გირ. მარწყვი ან ალუბალი გამოდის სამი სტაქანი.

1 მისხმლი დარიჩინი დანაყული არის ორი ჩაის კოვზი.

1 მისხალი მიხაკი შეადგენს ორ ჩაის კოვზს ან 70 მარცვალს.

1 გირ. მურაბა შეადგენს ერთსა და ერთ მეოთხედ სტაქ.

12 კვერცხის გული ავსებს ერთ სტაქანს.

6 კვერცხის გული და ცილა ერთად გამოდის ერთი სტაქანი.

როგორ უნდა მომზადდეს იმერული ბადრიჯანი. აადუღეთ მარილწყალი, ჩაყარეთ შიგ გულ გაჭრილი ბადრიჯნები. როცა მოიხარშება, ამოიღეთ, დააუაგეთ სტოლზე, დაადეთ ზედ სუფთა ფიცარი და ზედ ფიცარზე ქვეები, რომ ბადრიჯნებიდან წყალი სულ გამოვიდეს.

შემდეგ აიღეთ ხახვი, კამა და ქინძი, დასჭვრიეთ წვრილათ, აურიეთ ერთად, დაასხით ზედ კარგი ძმარი და გამოტენეთ ბადრიჯნების გული. შემდეგ აიღეთ კარგი კაკალი, გამოხადეთ ზეთი, და რაც ნიგოზი დარჩება წყალში გახსენით. ბადრიჯნები ჩაალაგეთ ტურქელში, დაასხით ზედ გამოხდრილი ნიგოზის ზეთი, კაკალი რაც წყალში გახსენით, ცოტა ძმარი და იღოს ერთი ორი საათი, რომ შიგ გაუჯდეს.

# განცხადებანი

სახელმწიფო ქონებათა და მიწათ მოქმედების სამინისტროს კომისიონერი

მ. მ. ფრიდონოვი ტფილისში.

## აპირატები და ნაგლეგი გალ-შენახების შესახებ ლავად

სუფთა შაბიამანი ცნობილი მაკლესფილდისა და სხვა ფირმებისა.

ბოგირდი მარსელისა და პირდაპირ იტალიიდან გამოწერილი სხვადასხვა ფირმებისა და ჩვენი საკუთარი ფირმისა.

ნამდვილი შვეიცარიის მწვანე წამალი ბლენდელის ფაბრიკისა ლონდონში.

კულვარიზატორები (შესასხურებელი აპარატები) მონსერვიესი, ვერმორელისა და სხვა ფაბრიკებისა.

მზად გაკეთებული პარაშოკი ვაზებზე და ხეხილებზე შესასხურებლად სოკოებისა და მწერ-ჭია-მატლების წინააღმდეგ „მკლერი“ სხვადასხვა ფაბრიკებისა.

შურძნის საწურავები (პრესები) მაბილიესი, მარმონიესი და სხვა ფაბრიკებისა.

ღვინისა და სპირტის ამოსაღები ნანოსები ანუ პომპები გვიღებოსი.

ღვინის გასაშინჯი აპარატები სალერონ-ჯურდენისა.

ვაზების შესაყელი და ასახვევი რაში.

აზბესტის ფილტრები მალოვიჩის, რუეტის და სხვა ფაბრიკებისა.

ატმთილენის ფარები მაღალ კოშკებზე ასანთები მედუზასი.

კანტორა კისრულობს სხვა ყოველი გვარი იარაღებისა და მაშინების გამოწერასაც, რომელნიც კი საჭირონი იქნებიან მევენახე-მეღვინეებისათვის, მებაღეებისათვის და ყველა სხვა მეურნეთათვის.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ მსურველნი მიმართავენ მ. მ. ფრიდონოვს ტფილისში.

კატალოგები უფასოდ.

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე